

**სიძულვილით მოტივირებული
დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ:
გამოწვევები და პერსპექტივები**

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG)

თბილისი, 2016

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ: გამოწვევები და პერსპექტივები“ - მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის „საქართველოში ლგბტ ადამიანებისათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისაგან დაცულობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ ფარგლებში, ILGA-Europe-ს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) და ის შესაძლოა არ ემთხვეოდეს ILGA-Europe-ს ოფიციალურ პოზიციას. / This public policy document – Hate Crime against LGBTI Persons: Callanges and Perspectives - was prepared by Women’s Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of the project „Improving Access of LGBT Persons in Georgia to Protection from Hate Crime“. This project is financially supported by ILGA-Europe. The content of the publication is responsibility of the Women’s Initiatives Supporting Group (WISG). The opinions expressed in the document do not necessarily reflect any official position of ILGA-Europe

ავტორი / Author: ნაზი ჯანეზაშვილი / Nazi Janezashvili

რედაქტორი / Editor: ეკატერინე აღდგომელაშვილი / Ekaterine Aghdgomelashvili

ყდის დიზაინი / Cover design: ე. წერეთელი / E. Tsereteli

დაკაბადონება / Layout: თ.ლორთქიფანიძე/ T. Lortkiphanidze

მთარგმნელები / Translators: ნათია გელაშვილი / N.Gelashvili

ნინო კალანდია / Nino Kalandia

ანა გუნია/ Anna Gunia

თათა ბერია / Tata Beria

დაბეჭდილია / Printed: შპს „სეზანი“ / Cezanne Ltd

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2016

Women’s Initiatives Supporting Group (WISG), 2016

www.women.ge

ISBN 978-9941-0-9447-7

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

სარჩევანი

შესავალი	5
რეზიუმე	6
პრობლემის აღწერა	9
ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა	12
<i>სოციო-კულტურული გარემო</i>	12
<i>დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ / არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკა</i>	16
სახელმწიფოს რეაგირება დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე	19
<i>სამართლებრივი გარემო</i>	19
<i>დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ / ოფიციალური სტატისტიკა</i>	21
<i>პროფესიული ტრენინგები და სხვა საგანმანათლებლო აქტივობები</i>	26
სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების მოკლე მიმოხილვა	31
<i>სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურები</i>	36
შეჯამება და რეკომენდაციები	44
დანართები	49
ტერმინოლოგია	54

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თვალსაზრისით საქართველოში საკანონმდებლო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და დოკუმენტირებული ქეისები, ისე საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ მომზადებული ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე კვლავ საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში. ამასთან, ამგვარი ფაქტების უმეტესობა აღურიცხავი და სათანადო რეაგირების გარეშე რჩება. არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სახელმწიფო დონეზე, რომელიც აღრიცხავდა და შეისწავლიდა ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებათა ხასიათსა და გავრცელებულობას ქვეყანაში, შეიმუშავებდა და დაგეგმავდა კონკრეტულ და ეფექტიან მიდგომებს ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოსაფხვრელად.

წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული პრაქტიკის კვლევას ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის კუთხით. დოკუმენტში ქვეყანაში არსებული პრაქტიკა და მექანიზმები განხილული და გაანალიზებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების წრილში. დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის.

დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებული იყო „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ 2012-14 წლებში ჩატარებული დისკრიმინაციის კვლევები, ორგანიზაციის მიერ მოპოვებული და დოკუმენტირებული ქეისები; 2012-15 წლებში მომზადებული ჩრდილოვანი ანგარიშები; სხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები („იდენტობა“, GYLA), სახალხო დამცველის 2014 და 2015 წლის წლიური ანგარიშები; საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის შესახებ.

რეზიუმე

დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ასახული და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციითა¹ და მოქმედი კანონმდებლობით. კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც 2014 წლის 7 მაისს შევიდა ძალაში, დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველთა შორის ექსპლიციტურადაა მითითებული „სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოსატყა“.²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დისკრიმინაციას განიხილავს როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ახდენს მის კრიმინალიზაციას³. აღნიშნული მუხლი კრძალავს თანასწორუფლებიანობის დარღვევას სხვადასხვა ნიშნით, რამაც არსებითად შეიძლება ხელყოს ადამიანის უფლება. თუმცა, ჯერ-ჯერობით არ არსებობს პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შეფასდება თუ როგორ განიმარტება ეს პირობა.⁴

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას, თუმცა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს⁵. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ მუხლით არც ერთი საქმე არაა კვალიფიცირებული. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებათა სტატისტიკა. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ ხდება ლგბტი პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ბუნების და პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.⁶

1 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი

2 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

3 სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი

4 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 2015. პარა.3.

5 სსკ 53-ე მუხლის 3' ნაწილი.

6 Discrimination on basis of sexual orientation and gender identity in Georgia. WISG and ILGA-Europe's joint submission for 23rd Working Group Session of UPR. 2015.

ქვეყანაში არსებული ძლიერი ჰომო/ბი/ტრანსფობიურ გარემოსა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებული ძალადობის შემთხვევებისა და დისკრიმინაციის კვლევების შედეგების ფონზე ოფიციალური სტატისტიკის არარსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში არ მუშაობს.

სოგი-ს საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის უხილავობაზე გავლენას ახდენს ერთი მხრივ, ერთიანი, კომპლექსური მიდგომებისა და ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა, სამართალდამცავთა დაბალი სენსიტიურობა საკითხის მიმართ და კვალფიკაციის ნაკლებობა, რომელიც საჭიროა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებისა და გამოძიებისთვის. მეორე მხრივ, ლგბტი ჯგუფის წევრთა უნდობლობა სამართალდამცავთა მიმართ, ქამინგ აუთისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის შიში. სახელმწიფოს მხრიდან ლგბტი პირთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი რეაგირების გამოცდილება და პოლიტიკოსების მხრიდან ჰომოფობიური სიძულვილის ენის ხშირი გამოყენება აძლიერებს ლგბტი ჯგუფის წევრთა შორის არსებულ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

2016 წლის ანგარიშში, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფის შექმნის თაობაზე, რომელიც საგანგებოდ იმუშავებს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე. ამ დანაყოფის შექმნისას ხელისუფლებამ კომპეტენტური საექსპერტო რჩევისთვის უნდა მიმართოს სახალხო დამცველს, ასევე, შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს⁷.

2015 წელს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG) ილგა-ევროპასთან ერთად მოამზადა და წარადგინა ჩრდილოვანი ანგარიში უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) 23-ე სესიისთვის ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.⁸ განხილვისას, საქართველოს მთავ-

7 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 2015. პარა.68.

8 WISG/ILGA-Europe, (2015). Discrimination on the basis of sexual orientation and gender identity in Georgia – Joint Submission, 23rd Working Group Session of the UPR .

რობამ მიიღო რეკომენდაციები, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ლგბტი პირთა უფლებრივ მდგომარეობას ქვეყანაში. ამასთან, სახელმწიფომ დათქმა გააკეთა შვედეთის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც საქართველოს პირდაპირ მოუწოდებდა შეექმნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულზე მომუშავე სპეციალიზებული დანაყოფი პოლიციაში. საქართველომ მოინიშნა აღნიშნული რეკომენდაცია და წარმოადგინა ალტერნატიული გზა ახსნა-განმარტებასთან ერთად: „ქვეყნის მასშტაბით დაფარვის, ასევე შემთხვევათა რაოდენობის და ამ ტიპის დანაშაულებზე ინტეგრირებული რეაგირების საჭიროების გათვალისწინებით, საქართველო მიიჩნევს, რომ პოლიციაში ერთი სპეციალიზებული ქვედანაყოფის შექმნა არ იქნება საკმარისი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის. ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებს ვალდებულებას მოახდინოს იდენტიფიცირება, გასცეს შესაბამისი დავალება და გადაამზადოს პოლიციის სპეციალიზებული თანამშრომლები ყველა რეგიონულ პოლიციის განყოფილებაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისთვის.“⁹

სახელმწიფოს მზაობა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები სოგი-ს საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის მისასალმებელია, თუმცა, ქვეყანაში არსებული რეალობა გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფოს მიერ შერჩეული სტრატეგია სპეციალური დანაყოფის შექმნის გარეშე არაეფექტიანი იქნება. ქვეყნის მასშტაბით სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად, მნიშვნელოვანია სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას ქვეყანაში არსებული რეალობა - სამართალდამცავთა მხრიდან ჰომოფობიური დამოკიდებულების გამოცდილება, ქამინგ აუთისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის შიში ლგბტი ჯგუფის წევრთა შორის, ქვეყანაში არსებული განწყობების დინამიკა და სპეციფიკა ლგბტი პირებისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ (მაგ. სოფლებსა და ქალაქებში ჰომო/ბი/ტრანსფობია გაცილებით ძლიერია, ვიდრე თბილისში. ამასთან, უფრო მაღალია იძულებითი ქამინგ აუთის რისკი და სხვ.) და გაანალიზდეს სპეციალური დანაყოფების მოქმედების ეფექტიანობა სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების ქრილში.

9 A/HRC/31/15/Add.1; 118.10

პრობლემის აღწერა

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საფრთხეს უქმნის დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის ძირითად საფუძველს, რამდენადაც „თავს ესხმის“ ყველა ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის უფლების ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ჩანერილია გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პირველ მუხლში. „სიძულვილით ჩადენილი დანაშაული“ და სხვა „სიძულვილით მოტივირებული გადაცდომები“ ძალიან დიდ ტკივილს აყენებს მსხვერპლსა და იმ თემს, რომელსაც მიეკუთვნება. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლთა თვალთახედვით, ამგვარი დანაშაულისაგან ყველაზე მეტად ზარალდება მათი იდენტობის მყარი, ფუნდამენტური ასპექტი.¹⁰ ამასთან, სახელმწიფოს არასათანადო რეაგირებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ინციდენტებზე შესაძლოა წაახალისოს ფართომასშტაბიანი კონფლიქტები და მასობრივი ძალადობა საზოგადოებაში.

საკანონმდებლო ზომების მიღების გარდა, 2009 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის შესახებ გამართულ ევროპის საბჭოს მინისტრიალზე¹¹ მკაფიოდ განისაზღვრა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც სახელმწიფოებმა ამ მიმართულებით უნდა გადაადგან:

- * სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მონაცემების შეკრება და გასაჯაროება;
- * შესაბამისი ზომების მიღება, რათა წაახალისონ მსხვერპლი ან ასეთი დანაშაულის მოწმე, რომ განაცხადონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ;
- * პროფესიული ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება პოლიციის ოფიცრებისთვის, პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის;
- * სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა.

10 Hate Crime Laws, a Practical Guide, OSCE/ODHIR. გვ. 42

11 OSCE Ministerial Council Decision No. 4/03, op. cit., note 2.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ სოგი-ს საფუძველზე სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის ან სიძულვილით მოტივირებული სხვა გადაცდენების მსხვერპლი და მონმეები წაახალისოს, რომ განაცხადონ მსგავსი დანაშაულების შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC2010(5) ითვალისწინებს რა სოგი-ს საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკას (ლგბტი ჯგუფის წარმომადგენელთა მხრიდან სამართალდამცავთა მიმართ უნდობლობას, რეპორტირებისას ქამინგ აუთის შიშსა და სხვა სპეციფიკას) წევრ სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებს:

- * შექმნან სპეციალური განყოფილებები, რომლებსაც, სხვა მოვალეობებთან ერთად, დაევალებათ სექსუალურ ორიენტაციასა ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და გადაცდომების გამოძიება. ასევე, სპეციალური თანამშრომლების გამოყოფა, რომლებიც კონტაქტს დაამყარებენ ადგილობრივ თემთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.
- * განსაკუთრებული ძალისხმევა გაიღონ დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად სპეციალურად იმისათვის, რომ მიიღონ და გამოიძიონ ინფორმაცია სამართალდამცავი პირების მხრიდან სიძულვილით ჩადენილი დანაშაულებისა ან სიძულვილით მოტივირებული სხვა გადაცდომების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისა, სადაც ერთ-ერთი მოტივი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა ხდება.
- * შემოიღონ ანონიმური ან ონლაინ საჩივრების წარმოდგენის, ან ადვილად მიწვდომის სხვა საშუალებათა სისტემა, რაც საშუალებას მისცემს მესამე მხარეს, მიაწოდოს ინფორმაცია. ამით მოგროვდება ინფორმაცია გადაცდომებისა და მათი განსაკუთრებული ხასიათის შესახებ.¹²

დამატებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ლესბოსელებს, გეი მამაკაცებს ბისექსუალებსა და

12 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. განმარტებითი მემორანდუმი. პარა.3 ბ, გ, დ.

ტრანსგენდერ ადამიანებს სამართალდამცავ და სხვა სტრუქტურებში დისკრიმინაციის გარეშე ეპყრობოდნენ, რაც სტიმულს მისცემს სიძულვილით ჩადენილი დანაშაულისა ან გადაცდომის მსხვერპლთ, განაცხადონ ამგვარი ფაქტების შესახებ. ეს მიიღწევა კარგი ქცევის კოდექსისა და ტრენინგების შემოღებით. მათ ასევე უნდა გადადგან ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჰომოფობიური და ტრანსფობიური ქმედებები, მათ შორის, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები (სექსუალური ძალადობა, სხეულის ზედმეტად მოურიდებელი ჩხრეკა და შეურაცხმყოფელი ლაპარაკი) აღმოიფხვრას ამ სტრუქტურებში, სადაც შესაძლებელია, გამოიყენონ დისციპლინარული ან სისხლის სამართლის სანქციების მექანიზმები.¹³

13 ნაცვლიშვილი ა., აღდგომელაშვილი ე. (2012). ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. თბილისი. WISG. გვ.7

სოციო-კულტურული გარემო

ჰომო/ბი/ტრანსფობია კომპლექსური პრობლემაა, რომელიც სხვადასხვაგვარი სახით ვლინდება და აისახება ლგბტი ადამიანების ყოფაზე. საზოგადოებაში არსებული ნეგატიური განწყობა მანიფესტირდება ლგბტი ადამიანების მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში, დისკრიმინაციაში, მარგინალიზაციისა და გარიყვის პრაქტიკებში.

საზოგადოებაში არსებული ნეგატიური განწყობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყანაში არსებულ გარემოზე თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისითაც. დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპი კი სწორედ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა და დაცვაა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების უმეტესობა ცდილობს შეძლებისდაგვარად დამალოს საკუთარი „განსხვავებულობა“, მაქსიმალურად მოერგოს საზოგადოებაში არსებულ ნორმებსა და მოლოდინებს და იცხოვროს „ორმაგი ცხოვრებით“. მტრული გარემო და ნეგატიური განწყობები აისახება არა მხოლოდ სტრესსა და დისკომფორტში, რომელსაც ჯგუფის წევრები განიცდიან, არამედ მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ლგბტი ადამიანებისთვის იმოქმედონ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და მოითხოვონ თანასწორობა, როგორც საზოგადოების სრულუფლებიანმა და სრულფასოვანმა წევრებმა.

საქართველოში 2015 წლამდე ჩატარებული კვლევები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებთან/ღირებულებებთან და/ან ჯგუფებთან მიმართებას სწავლობს ნათლად ასახავს საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ განწყობებს ლგბტი პირთა მიმართ. აღნიშნული კვლევები ადასტურებს, რომ ლგბტი ადამიანები დღემდე რჩება ჯგუფად, რომლის მიმართაც საზოგადოება სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ მიმღობას ამჟღავნებს¹⁴. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ

14 ე. ალდგომელაშვილი. „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში“. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2013

2015 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი განწყობების კვლევა ლგბტი პირებისა და მათი თანასწორუფლებიანობის მიმართ¹⁵ აჩვენებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობია საკმაოდ ძლიერია ქვეყანაში. ამასთან, ცალკეული ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებები გასხვავდება ერთმანეთისგან როგორც სიძაფრით, ისე ბუნებით. ნეგატიური დამოკიდებულებები განსაკუთრებით გამოხატულია ტრანსგენდერი ქალებისა და ლგბტი აქტივისტების მიმართ¹⁶.

ნეგატიური განწყობები ცალკეული ჯგუფების მიმართ განსხვავდება სოფელი/ქალაქი/თბილისის, სქესის, ასაკის, ლგბტი ჯგუფთან კონტაქტის/ნაცნობობის, ჰომოსექსუალობის შესახებ ცოდნის ჭრილში. ჰომო/ბი/ტრანსფობიური დამოკიდებულებები თბილისში ყველაზე დაბალია. კაცი რესპოდენტები უფრო მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ჰომო/ბი/ტრანსფობიის სკალაზე, ვიდრე ქალები; რაც უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება რესპოდენტი, მით უფრო იზრდება ნეგატიური განწყობები ჯგუფის მიმართ. ფორმალური განათლების დონე არაა პირდაპირ კავშირში ჰომო/ბი/ტრანსფობიურ განწყობებთან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფორმალური განათლება ჩვენს შემთხვევაში, ნაკლებად უწყობს ხელს მიმდებლობისა და ტოლერანტობის ზრდას ლგბტი ადამიანების მიმართ. ჰომო/ბი/ტრანსფობიურ განწყობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს რესპოდენტის წარმოდგენები ტრადიციულ გენდერულ როლებზე, მემარჯვენე ავტორიტარიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის დონე. ცალკეულ შემთხვევებში სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ ცოდნის ნაკლებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ცალკეული მითების პოპულარობას საზოგადოებაში და ნოყიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისათვის, რითაც ცალკეული ჰომოფობიური ჯგუფები აქტიურად სარგებლობენ.

15 ე.აღდგომელაშვილი. „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ საქართველოში“. WISG. თბილისი. 2016

16 „ვინაიდან დღევანდელი ნეომორალისტების მთავარ სტრატეგიას საჯარო სივრცის „ცოდვისგან განწმენდა“ წარმოადგენს, მათი აგრესიის უპირველესი სამიზნე სწორედ ის ადამიანები და ჯგუფები ხდებიან, ვინც საკითხის/ჯგუფის ხილვადობის გაზრდით ცდილობს შეცვალოს არსებული მდგომარეობა. სწორედ ეს განაპირობებს გამოკვეთილად ნეგატიურ დამოკიდებულებას ლგბტ აქტივისტებისა და უფლებადამცველების მიმართ, რომელიც ამ კვლევაში დაფიქსირდა. ამგვარი დისკურსის პირობებში, ჯგუფის მიმართ არსებული ნეგატიური განწყობები, სტატუსის მიუხედავად, თანაბრად ვრცელდება იმ პიროვნებებსა და ჯგუფებზეც, ვინც ცდილობს უფლებრივი თანასწორობის კონტექსტში გადაიტანოს სოგი-სთან დაკავშირებული საკითხები“. იქვე. გვ. 140

ლგბტი ჯგუფის უფლებრივ თანასწორობასთან დაკავშირებული კითხვების გაანალიზებამ ღირებულებების სკალასთან მიმართებაში, მთლიანობაში, აჩვენა, რომ იმ ადამიანების უმრავლესობაც კი, ვინც ადამიანის უფლებებსა და სიტყვის თავისუფლებას ღირებულებათა იერარქიაში პირველ ხუთეულში ასახელებს, ენინააღმდეგება ლგბტი პირთა თანასწორუფლებიანობის იდეას. ადამიანის უფლებები ჩვენთან ჯერ კიდევ ცალკეული ჯგუფების პრივილეგიად აღიქმება. ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების ამგვარი უგულებელყოფა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტი ადამიანებზე ძალადობის ფაქტები, უმეტესწილად აღიქმება როგორც ცალკეული და განყენებული შემთხვევები და არა ერთიანი სისტემური ძალადობის ნაწილი. ამასთან, ძალადობად განიხილება მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფა. ფსიქოლოგიური ზენოლა, მარგინალიზაცია, ბულინგი, მკურნალობის იძულება, სახლიდან გამოგდება, ძალადობის სხვა ფორმები, ისევე როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ხშირად არც კი აღიქმება ძალადობად ან უფლებების დარღვევად.

ამასთან, ლგბტი ჯგუფის უფლებრივ თანასწორობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის არტიკულირება საჯარო სივრცეში, ავტომატურად აღიქმება როგორც „გეი-პროპაგანდა“. მითები და სტერეოტიპები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებაზე უფლებრივ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, აჩვენებს, რომ ეს საკითხები მორალის და ტრადიციების ქრილში უფრო განიხილება ვიდრე უფლებრივი თანასწორობის კონტექსტში. რაშიც დიდი წვლილი პოლიტიკოსებს მიუძღვით, რომელთა შეფასებები და კომენტარები დისკრიმინაციისა და ძალადობის ფაქტებზე ხშირად გაჟღენთილია მორალისტური რიტორიკით და საკითხის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევისა და უფლებებრივ ქრილში განხილვის ნაცვლად დომინანტურ კულტურულ, ტრადიციულ და რელიგიური ფასეულობებზე აპელირებენ.

სიძულვილის ენის კვლევები აჩვენებს, რომ ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები უკიდურესად პოლიტიზებულია ქვეყანაში. ლგბტი ჯგუფებთან დამოკიდებულება პოლიტიკური სპექტრის ცენტრისა და საკითხია და ხშირად გამოიყენება პოლიტიკური სპექტრის ფრაგმენტირებისათვის „პრო-

დასავლურ“ და „პრორუსულ“ ძალებად. ცალკეული ჯგუფები მართლაც მიზანმიმართულად იყენებენ საბჭოთა მითს „ჰომოსექსუალობის დასავლური წარმოშობის“ შესახებ ანტიდასავლური განწყობების შესაქმნელად. მეორე მხრივ, ვხედავთ სიტუაციას, როდესაც ლგბტი ჯგუფის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ხდება პოლიტიკური ოპონენტების აპრიორი „პრორუსულ“ ძალად მარკირების საფუძველი. საკითხის ამგვარი პოლიტიზაცია, ნეგატიურად აისახება როგორც ლგბტი ჯგუფის მდგომარეობაზე, ისე მათი უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებაზე.

ქამინგ-აუთის შიში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ ადამიანებისთვის საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს სოგი-ს საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის „უხილავობაზე“. გარემოში, სადაც მტრული დამოკიდებულება გამყარებულია ტრადიციული იდეოლოგიებით და მხარდაჭერილია ძლიერი ინსტიტუციების მხრიდან, ლგბტი ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხიდან გამომდინარე, თავს არიდებს საჯაროდ საკუთარი სტატუსის გაცხადებას. მათ კარგად იციან - სტატუსის გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლება დაემუქროთ სახლის, ოჯახის, თავშესაფრის დაკარგვა, გახდნენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი¹⁷. ქამინგ აუთის შიში და ჰომო/ბი/ტრანსფობიური დამოკიდებულების სპეციფიკა დასახლების ადგილის მიხედვით (ჰომო/ბი/ტრანსფობიური დამოკიდებულებები თბილისში ყველაზე ნაკლებ გამოხატულია სოფლებთან და ქალაქებთან შედარებით) აიძულებს ქომუნითის წევრებს (განსაკუთრებით რეგიონებში), გამოიცივალონ საცხოვრებელი ადგილი და „ჩაიკარგონ“ რომელიმე სხვა ან უფრო დიდ ქალაქში, სადაც მათ ნაკლებად იცნობენ.

სოგი-ს საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დაძლევის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც წინასწარ განწყობების კვლევამ გამოავლინა საქართველოში.

17 იქვე. გვ. 28-29

დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ / არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკა

საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური განწყობა პირდაპირ აისახება ჯგუფის წევრებზე. ლგბტი ადამიანთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტები, როგორებიცაა ძალადობა ლგბტი უფლებადამცველთა მიმართ¹⁸, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, სახელმწიფოს უმოქმედობა და/ან არაადეკვატური რეაგირება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, სიძულვილის ენის გამოყენება და სხვ. ასახულია როგორც ადგილობრივი ლგბტი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში, ისე სახალხო დამცველისა¹⁹ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ანგარიშებში²⁰.

2012 წლის WISG-ის მიერ ჩატარებულმა დისკრიმინაციის კვლევამ ლგბტი ჯგუფში აჩვენა, რომ გამოკითხულთა 32%-ს, ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, 89,93%-ს კი ფსიქოლოგიური ძალადობა. საშუალოდ 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა განუცდია, 73.13%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 13.43%-ს ორჯერ, ხოლო 13.43%-ს - ერთხელ.²¹

2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციის „იდენტობას“ მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, ბისექსუალ მამაკაცებსა და ტრანსგენდერებთან აჩვენებს, რომ შეკითხვაზე „გამხდარხართ თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბოლო ორი წლის მანძილზე“, 48 რესპონდენტმა 109-დან დადებითად უპასუხა.²²

18 A Pending Case versus Georgia before the ECtHR about police homophobic behaviour and violation of fundamental rights (Aghdgomelashvili and Japaridze v Georgia., App. no. 7224/11)

19 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013, 2014, 2015 წლისათვის.

20 Hammarberg T., GEORGIA IN TRANSITION. Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges. 2013; ENP Country Progress report – Georgia. 2012, 2013 ; US State Department Human Rights Report: Georgia. 2011, 2012 and 2013; Country reports prepared recently for the Council of Europe Human Rights Commissioner and the EU Fundamental Rights Agency; Hate Crimes in the OSCE Region – Incidents and Responses. Annual report 2011.

21 ლგბტი ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.

22 Social being of Gay, bisexual and transgender men; Identity; 2013.

2015 წელს, WISG-მა დაასრულა მუშაობა ლგბ პირთა საჭიროებების კვლევაზე ჯანმრთელობის სფეროში²³. კითხვარი ასევე მოიცავდა ინფორმაციას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელთან შედარებით, იკლო რესპონდენტთა რაოდენობამ, ვინც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ საუბრობენ (გამოკითხულთა 20%-ს აქვს ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება), იმატა იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომლებიც 3-ჯერ ან მეტჯერ გამხდარან ძალადობის მსხვერპლი. ამასთან, წინა წლებთან შედარებით, იმატა ძალადობამ ლგბ ქალების ჯგუფის მიმართ. ფიზიკური ძალადობის გამოცდილების სიხშირის მიხედვით, ლგბ ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობა, ვინც სამჯერ ან მეტჯერ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, ბევრად აღემატება გბ ჯგუფში იგივე გამოცდილების მქონე მამაკაცების რაოდენობას (შესაბამისად, 36%, N=18 ლგბ ქალებისათვის და 22%, N=11 გბ ჯგუფისათვის). რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალები უფრო მონყვლადები არიან ფიზიკური ძალადობის ციკლის მიმართ და ამ ჯგუფში მაღალია განმეორებადი ვიქტიმიზაციის რისკი.

2014 წელს ჩატარებულმა ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებიდან 9 (N=14) ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური ძალადობის ობიექტი თავისი გენდერული იდენტობის გამო. მაშინ, როცა მონაწილეთაგან სამს ფიზიკური ძალადობა სამი ან მეტი წლის წინ განუცდია (ორს – ქუჩაში, ხოლო ერთს – ოჯახის წევრის მხრიდან ბავშვობაში) 6-ს ამგვარი ძალადობა გასული ორი წლის განმავლობაში აქვს გადატანილი. ერთ-ერთი მათგანი ბოლო ორი წლის განმავლობაში 4-ჯერ გახდა ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი ქუჩაში²⁴.

2012 და 2013 წელს სახელმწიფომ ვერ შეძლო განეხორციელებინა პოზიტიური ვალდებულება ლგბტი პირთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 17 მაისს პოლიციამ ვერ შეძლო დემონსტრანტებისა და კონტრ-დემონსტრანტების დაშორიშო-

23 ე.აღდგომელაშვილი. „ლგბ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. ტექნიკური ანგარიში. WISG. თბილისი. 2015.

24 ნ. გვიანიშვილი. „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“. WISG. თბილისი. 2014.

რება და ძალადობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ოფიციალური მონაცემებით, აქციის დარბევისას დაშავდა 28 ადამიანი. 2013 წელს, ხელისუფლების მხრიდან დაგვიანებულმა და არასათანადო რეაგირებამ აქციის ძალადობრივ დაშლაზე, პოლიტიკოსების არაერთგვაროვანმა შეფასებამ პოლიტიკოსთა მხრიდან ხელი შეუწყო ძალადობის ტალღის გაგრძელებას. როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG), ისე ორგანიზაცია „იდენტობამ“ დააფიქსირეს ძალადობის გახშირებული ფაქტები ლგბტი ჯგუფის წევრებზე 17 მაისის მომდევნო დღეებში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალადობის გამოცდილების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ჯგუფის წევრები იშვიათად მიმართავენ როგორც პოლიციას, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებს რეაგირებისა და დახმარებისთვის. 2012 წლის კვლევის მიხედვით, ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე რესპოდენტებიდან მხოლოდ 27%-მა მიმართა პოლიციას. 2015 წლის მონაცემებით კი, მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა (30%). პოლიციისა და სამართალდამცავთათვის დანაშაულის არ შეტყობინების ძირითად მიზეზად პოლიციის არაეფექტურობას, პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური რეაქციისა და ქამინგ აუთის შიშს ასახელებენ. კიდევ უფრო დაბალია პოლიციისთვის მიმართვიანობა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. მსხვერპლთა უმეტესობა ფსიქოლოგიურ ძალადობას „არასერიოზულ“ მიზეზად მიიჩნევს და ამის გამო არ მიმართავს/ატყობინებს ინციდენტის შესახებ პოლიციას.

ჯგუფის წევრთა ნიჰილისტურ განწყობას ზოგადად მართლმსაჯულების სისტემის მიმართ კიდევ უფრო აძლირებს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში სავარაუდო ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით ჩადენილ არც ერთ გახმაურებულ საქმეზე დღემდე არ დამდგარა სამართლებრივი შედეგი - იქნება ეს 2013 წელს მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისა თუ 2014 წელს ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის მკვლელობის საქმე.

სამართლებრივი გარემო

დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ასახული და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციით²⁵ და მოქმედი კანონმდებლობით. კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც 2014 წლის 7 მაისს შევიდა ძალაში, დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველთა შორის მითითებულია „სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამობატვა“.²⁶ კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას სახალხო დამცველი ახორციელებს²⁷.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დისკრიმინაციას განიხილავს როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ახდენს მის კრიმინალიზაციას²⁸. აღნიშნული მუხლი კრძალავს თანასწორუფლებიანობის დარღვევას სხვადასხვა ნიშნით, რამაც არსებითად შეიძლება ხელყოს ადამიანის უფლება. თუმცა, არ არსებობს პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შეფასდება თუ როგორ განიმარტება ეს პირობა.²⁹

25 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორებიცაა პირის ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, სქესი და სხვ. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ამ საფუძველთა ჩამონათვალში ნახსენები არაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. 31.03.2008), კონსტიტუციაში მითითებული საფუძველების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ისეთ საფუძველებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მასში ნახსენები.

26 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

27 სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას; ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად ნინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

28 „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება“. სსკ 142-ე მუხლი

29 ECRI–ს ანგარიში საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 2015. პარა.3

ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას როგორც სქესის, ისე - სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე³⁰.

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას, თუმცა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს³¹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ მუხლით არც ერთი საქმე არაა კვალიფიცირებული. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებათა სტატისტიკა, რომლებიც ჩადენილია სექსუალური და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღემდე არ ხდება ლგბტი პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ბუნების და პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.³²

დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შსს მინისტრმა 2014 წლის 26 დეკემბერს ახალი მითითებები გამოსცა, რომლის მიხედვითაც, შსს-ს საგამოძიებო დანაყოფებს დაევაღათ: შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ (სსკ 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი) მიუთითონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულაში“. სამინისტროს ინფორმაციით, მითითება სიძულვილის ნიადაგზე და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების შესაბამისი მუხლით (საქართველოს სსკ-ის 142-ე, 142 პრიმა, 142 პრიმა 2, 155-ე და 156-ე მუხლები) გამოძიების

30 აკრძალვის საფუძველზე გენდერული იდენტობა მითითებული არაა. საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 2(3).

31 „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.“ სსკ 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი.

32 Discrimination on basis of sexual orientation and gender identity in Georgia. WISG and ILGA-Europe's joint submission for 23th Working Group Session of UPR. 2015.

დანყების ვალდებულებას წარმოშობს, თუ სახეზეა ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, ფიგურირებს საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ³³. საქართველოს კანონი „პაციენტთა უფლებების“ შესახებ, ასევე, კრძალავს პაციენტთა დისკრიმინაციას რამე ნიშნით.³⁴

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ზოგადად წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა, ვინაიდან მასში განერილი არაა კანონის აღსრულების მექანიზმი. გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებს ლგბტი ჯგუფის საჭიროებებს და შესაბამისად, ნაკლებად შესაძლებელია ამ ეტაპზე მისი გამოყენება ლგბტი პირთა უფლებების დასაცავად. კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" პარტნიორთა ძალადობისაგან არ იცავს ლგბტი პირებს, ვინაიდან იგი ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზე. საქართველოში კი ჰომოსექსუალური ქორწინება კანონით დაშვებული არაა.³⁵

2014 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა შვიდწლიანი სტრატეგია და ორწლიანი სამოქმედო გეგმა (2014-15), ასევე, მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, საკანონმდებლო დონეზე კვლავაც რჩება ხარვეზები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ლგბტი ადამიანების თავისუფლებასა და უფლებებს. ამგვარი შეზღუდვები განსაკუთრებით თვალში-საცემი და საგანგაშოა ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებაში.³⁶

33 იხ. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

34 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების“ შესახებ. მუხლი 6. აქვე უნდა ითქვას, რომ შემოაღწეული წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს და მისმა დარღვევამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება, გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ. 142-ე მუხლი)

35 WISG, (2014). Rights of LBT Women in Georgia, Shadow Report for CEDAW, Submitted for the 58th Session.

36 მაგ. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის.

დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ / ოფიციალური სტატისტიკა

სოგი-ს საფუძველზე უფლებადარღვევისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მისაღებად „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG) გამოითხოვა სხვადასხვა საჯარო ინფორმაცია სახალხო დამცველისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპრატისგან. ასევე, მიმართა იმ სახელმწიფო უწყებებს, რომელთა კომპეტენციას მიეკუთვნება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე პრევენციული ზომების გატარება, რეაგირება და სამართალწარმოება. გარდა ამისა, ორგანიზაციამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სასწავლო პროგრამების შესახებ, რომელსაც პოლიციელები, პროკურორები და მოსამართლეები გადიან.

ორგანიზაციამ წერილობით მიმართა შსს-ს და მთავარ პროკურატურას საქმის წარმოებაში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილისა და 142-ე მუხლების გამოყენების საფუძველზე 2012 წლის 27 მარტიდან 2016 წლის 15 მარტამდე პერიოდში.

შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემების თანახმად³⁷, აღნიშნულ პერიოდში ფიქსირდება მხოლოდ 1 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით მოქალაქის მიმართ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტზე. ამასთან, წერილში არაა მითითებული თანასწორუფლებიანობის დარღვევის საფუძველი. რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით, წერილში მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის ეტაპზე პასუხისმგებლობის დამძიმებას დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისთვის“ და შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სასამართლოს მეშვეობით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილის მიხედვით, 2012 წლის 27 მარტიდან 2016 წლის 15 მარტამდე პერიოდში სსკ-ის 142-ე

37 შსს ანალიტიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილი. 09.06.2016. #1413442

მუხლის საფუძველზე დევნა არ დაწყებულა³⁸. 2016 წლის იანვრიდან - 16 ივნისამდე პერიოდში ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულად იქნა ცნობილი 4 პირი, რომელთა მიმართ გამოტანილი ბრალდების შესახებ გადაყვეტილებაში ხაზგასმულია 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის ერთ-ერთი ნიშანი. პროკურატურის პასუხიდან არ ჩანს თუ რომელი ნიშნის საფუძველზე იქნა გამოყენებული აღნიშნული მუხლი. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, აქედან ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და პირს სსკ-ის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის გამო განესაზღვრა მინიმუმზე გაცილებით მაღალი სანქცია. დანარჩენ საქმეებზე (2016 წლის 16 ივნისის მდგომარეობით) სასამართლოს მიერ განაჩენი არ არის გამოტანილი.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით პირისათვის ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მიზნით WISG-მა წერილობით მიმართა **ყველა ინსტანციის სასამართლოს**. გარდა ამისა, ორგანიზაციამ გამოითხოვა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები (სსკ-ის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის და 142-ე მუხლების შესახებ) მხარეების პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე. მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში (კერძოდ, 2012 წლის 27 მარტიდან 2016 წლის 15 მარტამდე), არც სსკ 53-ე მუხლის 3¹ და არც სსკ 142-ე მუხლი არ ფიგურირებს არც ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში.

2016 წლის 31 მარტს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG) გამოითხოვა ინფორმაცია **საქართველოს სახალხო დამცველისგან** 2015 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 15 მარტამდე პერიოდში სოკი-ს საფუძველზე უფლებათა დარღვევის ფაქტების თაობაზე მიმართვიანობის შესახებ. სახალხო დამცველის საპასუხო წერილში მითითებულია, რომ ამ პერიოდში, ომბუცმენს მთლიანობაში 35-მა ადამიანმა მიმართა (აქედან, 21 განცხადება შესულია გენდერული თანასწორობის დეპარტამენტში, 14 კი - თანასწორობის დეპარტამენტში). 15 შემთხვევაში საქმის წარმოება შეწყდა მტკიცებულებათა არასაკმარისობის მიზეზით, 1 შემთხვევაში სახალხო დამცველის მიერ სასამართლოს წარედგინა სასამართლოს მეგობრის (*amicus curiae*) პოზიცია, 7 საქმეზე ფაქტების შესწავლის შემდგომ გაიცა რეკომენდაცია, 12 შემთხვევაში კი მიმდინარეობს საქმის შესწავლა³⁹.

38 საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი. 16.06.2016. #13/37707

39 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი. 13.05.2016. #05/4584

2016 წლის 4 აპრილს WISG-მა შესაბამისი წერილით მიმართა **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსაც**.⁴⁰ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციით, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 15 მარტამდე პერიოდში, ლგბტი ადამიანების უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ მიმართა ერთმა მოქალაქემ. ამასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემების სავარაუდო უკანონო დამუშავების შესახებ მიმართა კიდევ ერთმა მოქალაქემ. არც ერთ შემთხვევაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) რეგულარულად აკვირდება თუ რამდენად გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსი ზემოაღნიშნულ პრაქტიკაში. WISG-ის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის⁴¹ ფარგლებში ორგანიზაციას გამოთხოვილი ჰქონდა ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებებიდან 2012 წლის 19 აპრილიდან - 2014 წლის 16 სექტემბრამდე პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილის⁴² თანახმად, ზემოხსენებულ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. საპასუხო წერილში ასევე მითითებული იყო, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების თაობაზე. რაც შეეხება პროკურატურას, მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილში⁴³ მითითებული იყო, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში (2012-14 წლები) სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით წინასწარი გამოძიების/ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა

40 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განიხილავს მოქალაქეთა (მონაცემთა სუბიექტთა) განცხადებებს და უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პირებისგან ითხოვს დამატებით მასალას და ახორციელებს მონაცემთა დამუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის შემონმებას ინსპექტირებას.

41 ც. რატიანი, ე. აღდგომელაშვილი, გ. გოცირიძე. „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“. WISG. თბილისი. 2015

42 შსს ანალიტიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილი. 13.11.2016. #2293989

43 მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი. 24.09.2016. #13/59480

დაფიქსირებული. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებას, პროკურატურამ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე პროკურატურა სტატისტიკურ ინფორმაციას არ აწარმოებს. ამავე კვლევის ფარგლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით პირისათვის ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მიზნით WISG-მა წერილობით მიმართა ყველა ინსტანციის სასამართლოს. მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში, არც სსკ 53-ე მუხლის 3¹ და არც სსკ 142-ე მუხლი არ ფიგურირებს არც ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში⁴⁴.

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებზე დაყრდნობით ასევე შესაძლებელია ამ კუთხით გარკვეული დასკვნების გაკეთება. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ECRI-ს აცნობა, რომ სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე 2011 წელს დაიწყო 4 გამოძიება, 2012-ში - 9, 2013-ში - 16 და 2014-ში - 18. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODHIR) მიერ მიღებული ოფიციალური მონაცემები მიუთითებდა, რომ 2011 წელს სიძულვილით ჩადენილი 19 დანაშაულიდან მხოლოდ ერთზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა; 2012 წელს კი - 13 საქმიდან ხუთზე. ამ წლების განმავლობაში მსჯავრი არც ერთხელ არ დაუდიათ. 2013 წლის ოფიციალური მონაცემები მითითებული არაა. 2014 წლის მონაცემებით⁴⁵ 19-დან 7 საქმეზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, მსჯავრის დადება მოხდა 8 შემთხვევაში. 2014 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 19-ვე შემთხვევის საფუძველი რელიგიური მრწამსია.⁴⁶

პროცესის დინამიკაში დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სოგი-ს საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანაში არ შეინიშნება რაიმე მნიშვნელოვანი წინსვლა.

ოფიციალური სტატისტიკის არარსებობა, განსაკუთრებით, უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული ქეისებისა და ჩატარებული

44 იხ. დანართი N3

45 ეს რაოდენობა გაცილებით მცირეა რეალურ რაოდენობასთან შედარებით, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ODHIR-ისთვის გაგზავნილ ანგარიშებში აღნიშნავენ

46 ც. რატიანი, ე. აღდგომელაშვილი, გ. გოცირიძე. „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“. WISG. თბილისი. 2015

კვლევების საფუძველზე გამოვლენილი სურათის ფონზე, აჩვენებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში არ მუშაობს.

პროფესიული ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება პოლიციის ოფიცრებისთვის, პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვისა და ეფექტიანი რეაგირებისათვის, აუცილებელია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს გააჩნდეთ ასეთი დანაშაულისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა, მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. ECRI თავის 2016 წლის ანგარიშში ყურადღებას პროფესიონალიზმის ამაღლებას უთმობს და იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე. გარდა ამისა, ტრენინგები უნდა ფარავდეს ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსაც. ასევე, გასცემს რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ტრენინგების გავლენა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ისინი.⁴⁷

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2014-15 წლებისათვის⁴⁸ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გარდა, ასევე მოიცავდა შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირების, ასეთი ტიპის დანაშაულებათა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა და სტატისტიკის წარმოების თაობაზე.

WISG დაინტერესდა თუ რა სახის სწავლება ჩატარდა პოლიციელთათვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის.

მთავარი პროკურატურის მიერ მონოდებული ინფორმაციის (წერილი #13/37707) თანახმად, 2014-2016 წლებში ჩატარდა **ტრენინგები პროკუ-**

47 ECRI-ს ანგარიში საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 2015. პარა.67
48 ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2014-15 წლებისათვის. თავი 14.

რორებისა და გამოძიებლებისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე, რომელიც 82 გამოძიებელმა/პროკურორმა და 118 სტაჟიორმა გაიარა, რომელთაგან 30 დანიშნულია თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა ტრენინგების დროს ევროკავშირთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობდა, ასევე, ეუთოს ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლებთან და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან. წერილიდან ირკვევა, რომ ამ საქმიანობის განხორციელებისას, პროკურატურა არ თანამშრომლობდა ლგბტი პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG) მიმართა **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას**⁴⁹ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე სასწავლო პროგრამების შესახებ.

შსს აკადემიამ აღნიშნა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების საკითხები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების შემდგომი პერიოდიდან ისწავლება, რომელიც შესულია შემდეგ საგანმანათლებლო კურსებში: ა) უბნის ინსპექტორთა, ბ) პატრულ ინსპექტორთა, გ) საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა, დ) დეტექტივ-გამომძიებელთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო კურსი. ე) შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დანიშნულების კურსი.

გარდა ამისა, როგორც პასუხიდან ირკვევა, შსს-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე - საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გარკვეული საკითხები. ასევე, გეგმავენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ცალკე მოდულად ჩამოყალიბებას, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს აკადემია მოიცავს გარკვეულ საკითხებს სიძულვილით მოტივირე-

49 შსს აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საპოლიციო უმაღლესი და სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე საარქივო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამართალდამცავი სისტემისათვის უმაღლესი და სპეციალური პროფესიული განათლებით სპეციალისტების მომზადებას, პოლიციის სისტემის კადრების გადამზადებას და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. საჭიროებიდან გამომდინარე, შსს აკადემია, აგრეთვე უზრუნველყოფს კონკრეტული სფეროს სპეციალისტთა მოსამზადებლად შესაბამისი სასწავლო კურსების ორგანიზებას ან/და ტესტირებას.

ბული დანაშაულის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სპეციფიკის სიღრმისეული სწავ-
ლება, რომელიც ამჟამად არასაკმარისია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო სისტემის მა-
კოორდინირებელ, ხარისხიანი და ეფექტური მართლმსაჯულების ხელშეწყობისათვის შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს. კანონმდებ-
ლობის თანახმად, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა პირველი და სააპელა-
ციო ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნა და გათავისუფლება. გარდა
ამისა, საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება და
ჩატარება, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამარ-
თალწარმოება, ხარისხის მართვა საერთო სასამართლოებში და სხვ. საბჭოს
შეფასების მეთოდოლოგია და მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლის
დანიშვნის შესახებ, შემდგომში აისახება მის მიერ დანიშნული მოსამართ-
ლის განაჩენებზე.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ (WISG) მიმართა (ჭერილი
#1934) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემდეგი კითხვებით:

- ა) ამონებს და ითვალისწინებს თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მოსამართლეობის კანდიდატების შესაძლო ჰომოფობიურ დამოკი-
დებულებას ლგბტი ადამიანების მიმართ მოსამართლეთა შერჩევა/
დანიშვნისას.
- ბ) რა სახის მეთოდოლოგია გამოიყენება მოსამართლეთა შერჩევა/და-
ნიშვნისას იმისათვის, რომ შემონმდეს თითოეული მოსამართლეობის
კანდიდატის შესაძლო ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტი ადა-
მიანების მიმართ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ „მო-
სამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“ მე-9 მუხლი განსაზღვრავს
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების საკითხებს. ერთ-ერთი კრიტერი-
უმი განსაზღვრავს კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა
და სამართლიანობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის წერილში ამბობს,

რომ შეფასებისას ის ითვლისწინებს მოსამართლეობის კანდიდატის უნარს ერთგვაროვნად მოეპყროს ადამიანებს, იყოს ფავოროტიზმისა თუ წინასწარ შექმნილი უარყოფითი განწყობებისგან თავისუფალი, რაც უკავშირდება ადამიანთა რასობრივ, ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებას, სქესს, ასაკს, სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას, პოლიტიკურ შეხედულებებს ან სხვა ნიშანს, ასევე, უნარს, ყველა ადამიანს მოეპყროს ღირსებით, მათი უფლებების და ინტერესების პატივისცემით და სამართლიანად. როგორც საბჭო ამბობს, კრიტერიუმში - კომპეტენცია და სამართლებრივი დასაბუთების უნარი - მოიაზრება ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნა. მისი განცხადებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადანყვეტილებას იღებს ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით და ისე იღებს დანიშვნის შესახებ გადანყვეტილებას. საბჭო იყენებს ინფორმაციის მოძიების მეთოდს, კერძოდ უკავშირდება კანდიდატების რეკომენდატორებს, ყოფილ და მოქმედ დამსაქმებლებს, კოლეგებს და შესაბამისი კითხვარების გამოყენებით იღებს ინფორმაციას. საბჭო აგრეთვე, კითხვებს უსვამს კანდიდატს გასაუბრებისას. გარდა ამისა, მის ერთ-ერთ წევრს გავლილი აქვს სამართლის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის განკუთვნილი პირის უფლებათა სწავლების პროგრამა (HELP) ლგბტ პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ მისი მიდგომა დეკლარაციული ხასიათისაა, რომელიც ასახულია მოსამართლეობის კანდიდატის კრიტერიუმებში. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს როგორც ჩანს არ აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა შეამოწმოს მოსამართლეობის კანდიდატის შესაძლო ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტი ადამიანების მიმართ.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების პროფესიულ სწავლებას. ორგანიზაციამ 2016 წლის 12 აპრილს იუსტიციის უმაღლეს სკოლას მიმართა 8 შეკითხვით, ლგბტი ადამიანების უფლებების და მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სასწავლო პროგრამების შესახებ.

როგორც პასუხიდან ირკვევა, იუსტიციის უმაღლესი სკოლა თანამშრომლობს კავშირ „საფართან“ და ახორციელებს სატრენინგო პროგრამებს

„დისკრიმინაციის აკრძალვის ქართული და ევროპული სამართლის სტანდარტები“, რომელიც მოიცავს ლგბტი პირების უფლებებს. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლა იტყობინება, 2015 წელს ჩატარდა 1, ხოლო 2016 წელს იგეგმება 2 ტრენინგი. მათი განცხადებით, მომავალ წლებში იგეგმება ლგბტი პირთა უფლებებზე მოდულების შემუშავება. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების და დისკრიმინაციის თემატიკა ინტეგრირებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მოსამზადებელ პროგრამაში.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის პასუხი არ მოიცავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საქმის განხილვის სპეციფიკას და თავისებურებებს. მან პასუხი არ გასცა შეკითხვას, თუ რამდენმა ადამიანმა გაიარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სწავლება.

ტრენინგების ჩატარება ზოგადად არადისკრიმინაციულობასთან დაკავშირებით მისასალმებელია, მაგრამ საჭიროა, რომ სწავლება იყოს ინტენსიური ხასიათის და მოიცვას სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ყველა მოსამართლე. ვინაიდან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საქმეზე მუშაობა განსხვავებულ სპეციფიკას და თავისებურებებს მოიცავს, საჭიროა, რომ მოხდეს მოსამართლეთა მომზადება უშუალოდ ჰომო/ბი/ტრანსფობიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შესახებ. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ასეთ პირობებში, რამდენად არის სასამართლო მზად იმსჯელოს და დაადგინოს იყო თუ არა დანაშაული სიძულვილით მოტივირებული და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების მოკლე მიმოხილვა

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ევროპის საბჭოს 23 ქვეყანაში, კანადაში, ჩილესა და ამერიკის ზოგიერთ შტატში, სექსუალური ორიენტაცია ჩართულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საფუძვლების ჩამონათვალში.

მიუხედავად ამისა, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სტატისტიკა ასეთი დანაშაულების შესახებ რეალურად არ ასახავს ლგბტი ადამიანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სურათს. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანოდო ზომები, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულებისა და სხვა სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების მსხვერპლებმა და თვითმხილველებმა განაცხადონ მათ შესახებ; წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის, სასამართლო სისტემას, გააჩნდეს ასეთი დანაშაულებისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა და მონმეთა დახმარებისთვისა თუ მხარდაჭერისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები⁵⁰.

ამ მიმართულებით უკვე არსებობს აპრობირებული პრაქტიკები, როლებიც მოიცავს **სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას პოლიციისა და მოსამართლეებისათვის**, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ მსგავსი დანაშაულებისა და შემთხვევების დადგენას, აგრეთვე დაზარალებულებისა და მონმეების ადეკვატურ დახმარებასა და მხარდაჭერას.

OSCE-ს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს გარდა, სპეციალური გაიდლაინები შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც წარმატებით გამოიყენება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებისა და რეაგირებისთვის (აშშ, დიდი ბრიტანეთი - ლონდონის პოლიცია, შოტლან-

50 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. განმარტებითი მემორანდუმი. პარა.3

დია, შვედეთი, კატალონიის პოლიცია - ამ ქვეყნებში არსებობს სპეციალური სახელმძღვანელოები).⁵¹ ODIHR-ის მიერ მომზადებული სპეციალური სატრენინგო პროგრამა პროკურატურის თანამშრომლებისთვის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით (PAHCT) წარმატებით ხორციელდება ევროპის საბჭოს ცალკეულ ქვეყნებში.

აშშ-ში გამოძიების ფედერალური ბიურო ყოველწლიურად ასობით სემინარს, სამუშაო შეხვედრას და ტრენინგს ატარებს. ახალი და გამოცდილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, FBI-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგები განკუთვნილია ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის. FBI ასევე ატარებს ტრენინგებს პოლიციის ოფიცრებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში.

პროფესიული ტრენინგების გარდა, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული, რომ თავად სამართალდამცავები შეიძლება იზიარებდნენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებს. ბელგიაში, პორტუგალიაში, ხორვატიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, იტალიასა და, ნაწილობრივ, შვედეთში, ლგბტი საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები სისტემატურად უტარებენ ტრენინგებს პოლიციელებს, რათა უფრო სენსიტიური გახადონ ისინი ამ საკითხების მიმართ. იტალიაში ტრანსფობიურ და ჰომოფობიურ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებულია გენდერული ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართულ სატრენინგო პროგრამაში⁵².

სოგის საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეპორტირების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი პოლიციის მიმართ უნდობლობა და ქამინაუთის შიშია. ჯგუფის წევრებთან უფრო მჭიდრო კონტაქტისა და უნდობლობის გადასალახავად, ზოგ ქვეყანაში პოლიცისტან არსებულ სპეციალურ განყოფილებებს მიზანმიმართულად პოლიციაში მომუშავე ლგბტი ჯგუფის წევრებისაგან აკომპლექტებენ. ცხადია, ისინი უფრო მეტად სენსიტიური არიან ჰომოფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულებების მიმართ. გარდა ამისა, უშუალო კავშირი აქვთ ლგბტი თემის წევრებთან. (მაგ. ლონდონის, ვაშინგ-

51 http://www.report-it.org.uk/files/hate_crime_operational_guidance.pdf;

52 Polaček R., Le Déroff J. (2010) Joining Join forces to combat homophobic and transphobic hate crime Cooperation between police forces and LGBT organisations in Europe. ILGA-Europe. p. 39

ტონის, ამსტერდამის და სხვ. პოლიციის შესაბამისი განყოფილებები). ბევრ ქვეყანაში პოლიცია და საგამოძიებო ორგანოები მჭიდროდ თანამშრომლობენ ლგბტი ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის სპექტრი საკმაოდ ფართოა - პოლიციის თანამშრომელთათვის კონსულტაციებისა და სენსიტიურობაზე მიმართული ტრენინგების უზრუნველყოფა, ძალადობის სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება, ლგბტი თემის ნევრთათვის განკუთვნილ ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიაში ურთიერთდახმარება და სხვ. ხშირ შემთხვევაში პირველადი მედიატორის როლს მსხვერპლსა და სამართალდამცავებს შორის ლგბტი ორგანიზაციები ასრულებენ (მაგ. შვედეთი, ინგლისი (მხოლოდ ლონდონის პოლიცია), შოტლანდია, კატალონია, პორტუგალია, ჰოლანდია). ამასთან, სათემო ორგანიზაციებს ხშირად შეუძლიათ მიაწოდონ მსხვერპლს საჭირო სერივისები (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებაში მაღალია ნეგატიური განწყობები ლგბტი პირთა მიმართ და ორგანიზაციებს ჰყავთ და/ან თანამშრომლობენ მეგობრულად განწყობილ სპეციალისტებთან იქნება ეს ფსიქოლოგი, სოცმუშაკი თუ სხვ.).

სტოკჰოლმში, პოლიციის ლგბტ პირთა უფლებებზე სპეციალური განყოფილება დაზარალებულებს, რომლებიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი არიან, ყოველკვირეულად აგზავნის ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციაში (RFSL), რომელთანაც დიდი ხნის თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. გარდა ამისა RFSL-ის ცხელი ხაზის თანამშრომლები კვირაში ერთხელ პირადად მიდიან პოლიციაში და სთავაზობენ კონსულტაციას დაზარალებულებს პოლიციის თანამშრომლებთან შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ.

შოტლანდიის პოლიცია სპეციალურად მუშაობს ცალკეულ ორგანიზაციებთან, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ე.წ. მესამე მხარეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეპორტირების დროს. თუ მსხვერპლს არ სურს პოლიციაში მისვლა, მას შეუძლია მიაკითხოს რომელიმე ამ ორგანიზაციას, სადაც დაეხმარებიან განაცხადის მომზადებაში. იმ ორგანიზაციების მისამართები და საკონტაქტო მონაცემები, ვინც თანამშრომლობს შოტლანდიის პოლიციასთან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეპორტირების კუთხით, განთავსებულია პოლიციის ვებ-გვერდზე. პოლიციის თანამშრომლები სპეციალურ ტრენინგებს ატარებენ ამ ორგანიზაციების

წარმომადგენელთათვის, რათა შემთხვევის დოკუმენტირება პოლიციისათვის მისაღები სტანდარტებით მოხდეს.⁵³

ზოგ ქვეყანაში მსხვილ ლგბტი ორგანიზაციებს აქვთ ცხელი ხაზი/ვებ-გვერდი ძალადობის მსხვერპლთათვის. ორგანიზაციები პერიოდულად შეჯამებულ ინფორმაციას აწვდიან სამართალდამცავებს სტატისტიკის საწარმოებლად. ხორვატიაში ორგანიზაცია თავად ახდენს რეპორტირებს და პოლიციას ინფორმაციას მხოლოდ ანონიმურობის სრული დაცვით უზიარებენ. ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს დანაშაულის აღრიცხვას და სამართალდამცავთა და ლგბტი საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის სტატისტიკას შორის ნაკლები განსვლაა. თუმცა, თანამშრომლობის ასეთი ფორმა ნაკლებად უწყობს ხელს პოლიციის მიმართ უნდობლობის გადალახვას.

სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიციას შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია სიდუღელით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიციის ერთობლივი ფორუმი, რომელიც უნგრეთში 2012 წელს დაფუძნდა. ფორუმის წევრები წელიწადში ორჯერ იკრიბებიან. ფორუმის მიზანია უზრუნველყოს ეფექტიანი კომუნიკაცია პოლიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; გაანალიზოს არსებული გამოწვევები და პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.⁵⁴ ინოვაციური აქტივობა იყო კატალონიის ხელისუფლების თანამშრომლობა ლგბტი უფლებადამცველ ორგანიზაციასთან Casal Lambda, რომელიც ქომუნითის წევრებს დღესაც სთავაზობს სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ძალადობის მსხვერპლთათვის გაწეული კონსულტაციების პროცესში ორგანიზაციამ მოაგროვა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ლგბტი ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უმეტესობა აღურიცხავი და შეუმჩნეველი რჩებოდა ხელისუფლებისთვის.

2006 წელს კატალონიის ხელისუფლებამ დაამტკიცა ლგბტი ადამიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი გეგმა. 2008 წელს შეიქმნა სპეციალური განყოფილება (The Mossos d'Esquadra), რომელიც მუშაობდა სპეციფიკურად ჰომო/ტრანსფობიურ ინციდენტებისა და დანაშაულებათა გამოძიებაზე. პოლიციისთვის შემუშავდა სპეციალური პროტოკოლი ლგბტი პირთა

53 <http://www.scotland.police.uk/contact-us/hate-crime-and-third-party-reporting/>

54 Working Group Against Hate Crimes (GYEM).

მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირებისთვის⁵⁵. ამგვარი პოლიტიკისა და პოლიციის/სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების აღრიცხვა, რომელიც მანამდე უხილავი იყო და რეაგირების გარეშე რჩებოდა.

პოლიციასთან ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებულ პროცედურულ მოთხოვნებსა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე პროკურატურას ევალება, თუმცა, ყოველწლიურ ანგარიშს სოგი-სთან დაკავშირებულ საკითხებზე კატალონიის პოლიცია ამზადებს. პროკურატურასთან და პოლიციასთანაც არსებობს მრჩეველთა საბჭოები, რომელშიც შედიან როგორც Casal Lambda-ს, ისე სხვა ლგბტი უფლებადაცვითი ორგანიზაციების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ჯგუფი თვალყურს ადევნებს და მონიტორინგს უწევს მართლმსაჯულების სისტემის რეაგირებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების დოკუმენტირებულ ინციდენტებზე.

იმისათვის, რომ გაზარდონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვიანობა, სახელმწიფოები მიმართავენ **ფართომასშტაბიან კამპანიებს ინფორმირებულობის გასაზრდელად**. ზოგ ქვეყანაში (მაგ. შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ბელგია) შემუშავებულია სპეციალური სახელმძღვანელოები ლგბტი ჯგუფის წევრებისათვის, სადაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მკაფიო განმარტების გარდა, მითითებულია ის სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც მსხვერპლს დაეხმარება აღიდგინოს დარღვეული უფლებები⁵⁶. აღმოსავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში (ალბანეთი, კოსოვო, ბოსნია და ჰერცეგოვინა) სპეციალური საინფორმაციო ბროშურები OSCE-ს ადგილობრივ წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით შემუშავდა და ზემოთქმულის გარდა, მოიცავს კონკრეტულ ქვეყანაში არსებული რეალური ქეისების აღწერასა და ანალიზს.⁵⁷

55 2010 წლიდან პროტოკოლი ფარავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ყველა ფორმას.

56 Polaćek R., Le Déroff J. (2010) Joining Join forces to combat homophobic and transphobic hate crime Cooperation between police forces and LGBT organisations in Europe. ILGA-Europe. p. 39

57 Prosecuting hate crimes: a practical guide of OSCE for prosecutors. OSCE/ODIHR. 2014.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროკურატურის თანამშრომლობას მას-მედიის საშუალებებთან: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებებისა და ინციდენტების ცალკეულ გახმაურებულ საქმეებზე მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება ერთი მხრივ, პოტენციური დანაშაულებებისთვის მკაფიო გზავნილს წარმოადგენს, რომ ამგვარი დანაშაული რეაგირების გარეშე არ დარჩება. მეორე მხრივ, მოტივაციას უმაღლებს დანაშაულის მსხვერპლებსა და მონმეებს შეატყობინონ დანაშაული პოლიციას.

ზოგიერთ ქვეყანაში, ფართო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, სახელმწიფო რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ (მაგ. დიდი ბრიტანეთი). სტატისტიკური მონაცემების გარდა, ყოველწლიური ანგარიში მოიცავს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობების ანალიზსა და შეჯამებას. ანგარიშში, ასევე, მოყვანილია ცალკეული ქეისებზე რეაგირების პოზიტიური მაგალითებიც.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურები

ცნობიერების ამაღლებასა და სპეციფიკური ცოდნის მიღებაზე მიმართული ცალკეული აქტივობების გარდა, ბევრ ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა პოლიციაში მცირე ჯგუფის შექმნა, რომელიც მთლიანად ფოკუსირებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე (მაგ. აშშ-ს ზოგიერთი შტატი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ჰოლანდია, კატალონია, უნგრეთი და სხვ.).

უნგრეთში 2012 წელს შეიქმნა სპეციალური განყოფილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად (szakvonal). განყოფილებას ჰყავს ნაციონალური კოორდინატორი, რომლის ოფისიც განთავსებულია ბუდაპეშტში. იმისათვის, რომ განყოფილების მუშაობამ დაფაროს ქვეყნის მთელი ტერიტორია, თვითეული რეგიონის პოლიციაში (მთლიანობაში 20 ბუდაპეშტის ჩათვლით), განყოფილებას ჰყავს ერთი ადგილობრივი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების გამოძიებაზე. სპეციალური განყოფილების მიზანია: გაზარდოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების

ხარისხი და ეფექტიანობა.⁵⁸ მათი საქმიანობა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორცაა:

- * სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების აღრიცხვა და გამოძიება;
- * სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების გამოძიების შედეგების შეფასება;
- * ინტეგრირებული სამართლებრივი პრაქტიკების დამკვიდრება;
- * სატრენინგო კურსების ორგანიზება საგამომძიებლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად;
- * ექსპერტული ჩართულობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების გამოძიებისას როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე;

განყოფილებას შეუძლია აღრიცხული ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და საქმის რეკვალიფიკაცია თუკი გამოიკვეთება სიძულვილის სავარაუდო მოტივი.

პოლიციის ოფიცრები მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფებთან და სათემო ორგანიზაციებთან, მათ შორის ლგბტი ორგანიზაციებთან.

შვედეთში სტოკჰოლმის მუნიციპალურმა პოლიციამ 2007 წლის მაისში შექმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც ფოკუსირებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვასა და გამოძიებაზე (*hatbrottgruppen*). განყოფილება წარმოდგენილია ჯგუფის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირისგან, ერთი მთავარი და ოთხი დამხმარე გამომძიებლისგან. განყოფილება იძიებს სიძულვილის დანაშაულს სტოკჰოლმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში.⁵⁹

58 Dombos T., Udvari M., Hate Crimes in Hungary: Problems, recommendations, good practices. Másság Alaptvány, 2014

59 Polaček R., Le Déroff J. (2010) Joining Join forces to combat homophobic and transphobic hate crime Cooperation between police forces and LGBT organisations in Europe. ILGA-Europe. p. 39

შედეგად დანაშაულის რეპორტირების სტანდარტული პროცედურა ითვალისწინებს დანაშაულის სავარაუდო სიძულვილის მოტივის შესახებ ინფორმაციის მითითებას. დოკუმენტირების ფორმა მოიცავს სპეციალურ შეკითხვებს, რომელიც უკავშირდება შემთხვევის შესაძლო ან არსებულ სიძულვილის მოტივს. (მაგ. განმცხადებელი ვარაუდობს, რომ ინციდენტის/დანაშაულის საფუძველს წარმოადგენდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება/სიძულვილი კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა). ასეთ შემთხვევაში, სპეციალური განყოფილება ვალდებულია ჩაერთოს გამოძიების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში, დააბრუნოს საქმე პროკურატურაში ხელახლა გამოსაძიებლად. სტოკჰოლმის პოლიციის სიძულვილის დანაშაულის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს სათემო და ლგბტი ორგანიზაციებთან, ესწრება საჯარო ღონისძიებებს და თავშეყრის ადგილებს, სადაც მაღალია ინციდენტის რისკი.

სიძულვილით მოტივირებული გამოძიებისა და სიძულვილის დანაშაულის განყოფილების წევრები აქტიურად არიან ჩართული ასევე სტოკჰოლმის პოლიციელთა ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით (დღესდღეობით სიძულვილით მოტივირებული დანაშაული პოლიციის ოფიცერთა სასწავლო კურიკულუმის ნაწილია). სტოკჰოლმის პოლიციის სპეციალური დანაყოფი ასევე თანამშრომლობს სხვა ქვეყნის სამართალდამცავებთან. მაგ. 2014 წელს, ბუქარესტში დაგეგმილი პრაიდის წინ, უნგრეთის ლგბტი უფლებადაცვითმა ასოციაციამ საგანგებოდ მოიწვია განყოფილების 2 თანამშრომელი ადგილობრივ პოლიციისთვის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის ტრენინგების ჩასატარებლად.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა სპეციალური სტრატეგია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად და მისი პრევენციისთვის. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია ამ ტიპის დანაშაულის აღრიცხვიანობის გაზრდა, რაც თავის მხრივ უკავშირდება იმ უნდობლობის დაძლევას, რაც პოლიციის მიმართ არსებობს ცალკეულ ჯგუფებში. ამისათვის, სპეციალურად შემუშავებული ონლაინ რეპორტირების ფორმების გარდა, **დიდ ბრიტანეთსა და შოტლანდიის** პოლიციის განყოფილებებში შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ლგბტი ჯგუფთან მუშაობაზეა ფოკუსირებული. სწორედ ეს ჯგუფები არიან პასუხისმგებლები ლგბტი ჯგუფის

წევრთა საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებაზე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის კუთხით. ამ ჯგუფების მოვალეობაში შედის კონტაქტების ფასილიტაცია შემთხვევებზე, რომელიც სწრაფ რეაგირებას ითხოვს. შოტლანდიის პოლიცია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც შექმნა სპეციალური განყოფილებები. დღესდღეობით მ ასეთი განყოფილება მოქმედებს. განყოფილების თანამშრომლები გადიან სპეციალურ მომზადებას ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულებზე რეაგირებისთვის. მათივე მოვალეობაში შედის ურთიერთობა ორგანიზაციებთან და ინდივიდებთან, ვინც უზრუნველყოფს სპეციალურ სერვისებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დასახმარებლად.⁶⁰ აღრიცხვიანობის გასაზრდელად, პოლიციის სპეციალური განყოფილებები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მესამე მხარის ჩართულობას ქეისების რეპორტირების თვალსაზრისით. შოტლანდიის პოლიციის სპეციალური განყოფილებები საგანგებოდ მუშაობენ ასეთ ორგანიზაციებთან და ზოგ შემთხვევებში ასწავლიან მათ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეპორტირებას.⁶¹

2009 წელს **ესპანეთში, ბარსელონას პროვინციაში** პროკურატურასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც ფოკუსირებულია დისკრიმინაციასა⁶² და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების აღმოფხვრაზე. ამ ტიპის დანაშაულებათა საფუძველზე აღძრული საქმეების კოორდინირების გარდა, განყოფილებას ევალება პროკურორებისთვის უშუალო დახმარების განწევა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში თავადაც შეუძლია გამოძიების დაწყება. 2010 წელს პოლიციისთვის შემუშავდა სპეციალური პროტოკოლი ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულისა და დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისა და რეგისტრირებისთვის. პროტოკოლის მიხედვით, პოლიცია ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ განყოფილებას ყოველი ინციდენტის/დანაშაულის შესახებ, რომლის სავარაუდო მოტივსაც სიძულვილი წარმოადგენს. განყოფილება ასევე იღებს ინდივიდუალურ სარჩელებს ან განაცხადებებს არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

60 Hate Crime Data-Collection and Monitoring Mechanisms Hate. Practical guide. OSCE/ODIHR 2014

61 Police Scotland, Hate Crime & Third Party Reporting (2015).

62 ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დისკრიმინაცია სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება

სტრუქტურა იმდენად ეფექტიანი გამოდგა, რომ 2013 წლიდან დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებები ესპანეთის 50-ივე პროვინციაში ამოქმედდა. ყველა ამ განყოფილების კოორდინირებას ახდენს პერსონა, რომელსაც გენერალური პროკურორი ნიშნავს.⁶³

ამერიკის შეერთებულ შტატებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ითვლება სამოქალაქო უფლების დარღვევად, ამიტომ ფედერალური საგამოძიებო სამსახურის იურისდიქციაშია. აღნიშნულ სამსახურის ადგილობრივ ოფისებში მოქმედებს სიძულვილის დანაშაულის სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შემუშავებენ სტრატეგიას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფედერალური საგამოძიებო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების კუთხით⁶⁴

როგორც შტატების, ისე ფედერალურ საგამოძიებო სამსახურში მომუშავე გამოძიებლებისათვის შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითებები, რომლის გამოყენებითაც, ერთი მხრივ, დგინდება მოხდა თუ არა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და შესაბამისად, დანაშაული გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს თუ არა ფედერალურ საგამოძიებო სამსახურს, მეორე მხრივ, ელექტრონულ სისტემაში ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვა-რეგისტრაცია.

• სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განსაზღვრება აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) მიხედვით

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეიძლება იყოს ნებისმიერი დანაშაული, როგორცაა მკვლელობა, თავდასხმა, ან ვანდალიზმი, რომელსაც ემატება შეუწყნარებლობის ელემენტი. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ამ სახის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოებისთვის მას ასე განსაზღვრავს: „სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი პირის ან მისი საკუთრების წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვეულია

63 Prosecuting Hate Crimes: A practical Guide OSCE/ODIHR 2014
64 http://www.fbi.gov/about-us/investigate/civilrights/hate_crimes/overview

დამნაშავის შეუწყნარებლობით მსხვერპლის რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, სქესის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე“.

- **გამოძიების ფედერალური ბიუროს როლი**

FBI ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს იმისათვის, რომ ებრძოლოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და მხარი დაუჭიროს ამერიკელი ხალხის სამოქალაქო უფლებებს. ქვემოთ აღწერილია FBI-ის საქმიანობა, რომელიც მიმართულია იმისათვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტიანი. გამოძიებას ახორციელებენ შტატის და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტ საქმეს იძიებენ.

ა) საგამოძიებო საქმიანობა:

გამოძიების ფედერალური ბიურო არის მთავარი საგამოძიებო ორგანო, ისეთ სისხლის სამართლის დარღვევებზე, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო უფლებების დებულებებით. ბიურო სხვადასხვა შემთხვევაში მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ, შტატის და ფედერალურ სამართალდამცავების პარტნიორებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბ) სამართალდამცავების მხარდაჭერა:

FBI მჭიდროდ თანამშრომლობს შტატის/ადგილობრივ ხელისუფლებასთან გამოძიების მიზნით. FBI-ის რესურსები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გამოცდილება, რომელიც მოიცავს სიძულვილით და შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირებას და სათანადო მტკიცებულებების შეგროვებას, ხშირად ფასდაუდებელი მხარდაჭერაა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისთვის. ბევრ საქმეზე დევნა ხორციელდება შტატის დებულებების შესაბამისად. მას შემდეგ, რაც დაიწყება სახელმწიფო დევნა, იუსტიციის დეპარტამენტი ზედამხედველობს პროცესს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფედერალური ინტერესის დაცვა. კანონი გამოიყენება თანაბრად აშშ-ის ყველა, 95-ივე სასამართლო ოლქში.

გ) დევნის გადაწყვეტილება:

FBI დასრულებული გამოძიების შედეგებს გადასცემს აშშ-ის პროკურატურის ადგილობრივ ოფისს და იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების განყოფილებას, რომელიც წყვეტს ფედერალური დევნის საკითხს.

დ) სამუშაო ჯგუფები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე:

FBI-ის ოფისების უმრავლესობა მონაწილეობს ადგილობრივ სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც აერთიანებენ საზოგადოების/თემის და პოლიციის რესურსს, რათა ერთობლივად შეიმუშაონ სტრატეგიები ადგილობრივ დონეზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობა:

გამოძიების ფედერალური ბიურო ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე პრობლემების გადაჭრის მიზნით თანამშრომლობს სამოქალაქო უფლებებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის მიზანია ინფორმაციის გაზიარება და სათანადო რეაგირება არსებულ გამოწვევებზე.

ვ) ტრენინგი:

გამოძიების ფედერალური ბიურო ყოველწლიურად ასობით სემინარს, სამუშაო შეხვედრას და ტრენინგსატარებს. სწავლება უტარდებათ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, უმცირესობათა და რელიგიურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს და თემის წარმომადგენლებს. სწავლების მიზანია თანამშრომლობის ხელშეწყობა და სამოქალაქო უფლებების დარღვევების შემცირება. ყოველწლიურად FBI ატარებს ტრენინგებს ახალი თანამშრომლებისთვის, ასევე, პოლიციის ოფიცრებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში.

- **ლესბოსელი, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ პირთა საკითხებზე მომუშავე განყოფილება (მეტროპოლიტენის პოლიციის დეპარტამენტი, კოლუმბიის ოლქი)**

1989 წელს კოლუმბიის ოლქში ძალაში შევიდა შეუწყნარებლობასთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ აქტი, რომლის უმთავრესი მიზანი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სათანადო რეაგირება იყო. კანონი ითვალისწინებს გაზრდილ სასჯელებს იმ შემთხვევაში თუ დანაშაული მოტივირებულია შეუწყნარებლობით ან სიძულვილით. ამასთან, იგი ავალდებულებს პოლიციას, შეაგროვოს მონაცემები შეუწყნარებლობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევებზე. ამ ინფორმაციას კოლუმბიის ოლქი შეჯამებული სახით გამოსცემს ყოველწლიურად. მასში, როგორც წესი, ასახულია პოლიციისადმი მიმართვიანობა შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ქმედებების რაოდენობისა და ფორმების შესახებ. გარდა ამისა, მეტროპოლიტენის პოლიციის დეპარტამენტი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე და წარუდგენს ფედერალურ ხელისუფლებას.

მეტროპოლიტენის პოლიციის დეპარტამენტის სპეციალური განყოფილება შედგება 5 ქვედანაყოფისგან, რომელთაგან ერთ-ერთი მუშაობს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების საკითხებზე. ეს არის პოლიციელების გუნდი, რომლებიც ფოკუსირებულები არიან საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჭიროებებზე, რომელიც უშუალოდ ეხება ლგბტ პირებს და ზოგადად თემს. აღნიშნული გუნდი საგამოძიებო საქმიანობის გარდა, ატარებს საზოგადოებრივი განათლების კამპანიებს, რომელიც ეხება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და საზოგადოების უსაფრთხოებას. აღნიშნული პოლიციის განყოფილების უმთავრესი ფოკუსი არის თემის ნდობის გაზრდა პოლიციისადმი, ასევე ისეთი ინფორმაციის მოძიება, რომელიც შეეხება სიძულვილით მოტივირებულ და ძალადობრივ დანაშაულს ლგბტი თემის წინააღმდეგ. ისინი ახორციელებენ როგორც საპატრულო ფუნქციას, ასევე, რეაგირებენ მოქალაქეთა ყველა საჩივარზე.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არის მსხვერპლი, აქვს ინფორმაცია ან არის მონაწილე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ, შეუძლია დაუკავშირდეს პოლიციას. სპეციალურად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებისთვის, მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც შესაძლებელია შეტყობინების დატოვება ანონიმურად. გარდა ამისა, შესაძლებელია წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენა.

შეჯამება და რეკომენდაციები

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას, პირველ რიგში, პრობლემის ერთიან ჭრილში დანახვა და კომპლექსური მიდგომა განაპირობებს. ამის გარდა, ქვეყნების მიერ არჩეულ სტრატეგიებს შორის არსებულ განსხვავებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ამგვარი დანაშაულის ისტორიული მესხიერება, ისე, თანამედროვე კონტექსტი და ახალ-ახალი გამოწვევები. ქვეყნებს, სადაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, კარგად აქვთ გაცნობიერებული ის საფრთხეები რასაც დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული უქმნის დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის ძირითად საფუძველს, რამდენადაც „თავს ესხმის“ ყველა ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის უფლების ფუნდამენტურ პრინციპს.

საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმების გასაუმჯობესებლად, თუმცა, არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ დე ფაქტო დონეზე, დისკრიმინაციის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები ლგბტ პირთა მიმართ კვლავ საკმაოდ ხშირია. დისკრიმინაციის კვლევები და საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანაში არსებული ძლიერი ნეგატიური განწყობები ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი თანასწორობის საკითხების მიმართ პირდაპირ აისახება დისკრიმინაციის ფაქტებში, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. მისასალმებელია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები სამართალდამცავთა ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებისა და სიძულვილის მოტივირებულ დანაშაულის იდენტიფიცირებისა და გამოძიების მიმართულებით. თუმცა, დისკრიმინაციისა და ძალადობის შესახებ არსებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკას შორის იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა ამ მიმართულებით არაეფექტიანია. პრობლემის დაძლევის ინსტიტუციური მექანიზმების არაეფექტურობის გარდა, დანაშაულის უხილავობაზე გავლენას ახდენს: საზოგადოებასა და ლგბტ ჯგუფში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ დაბალი ცნობადობა; ლგბტ ჯგუფის წევრებს შორის არსებული შიში და უნდობლობა, რომელიც არსებობს სამართალდამცავთა მიმართ; ნიჰილისტური

განწყობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რომელიც განპირობებულია ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან არაადეკვატური რეაგირებით ძალადობის გახმაურებულ ფაქტებზე ლგბტი პირთა მიმართ და მეორე მხრივ, მუდმივად ძლიერდება ცალკეული პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების ჰომოფობიური რიტორიკის ფონზე.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის ინსტიტუციურ მექანიზმებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობის გაანალიზება სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების ჩრტილში გვაფიქრებინებს, რომ პირველ ეტაპზე სპეციალური განყოფილების შექმნის გარეშე სახელმწიფოს ძალისხმევა პრობლემის დასაძლევად არაეფექტიანი იქნება.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის წინაპირობა საქართველოშიც არსებობს. „საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 4 სექტემბრის #87 ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამმართველოს ფუნქციას წარმოადგენს მთავარი პროკურატურისა და მისი სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო ორგანოებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო სწავლობს და სათანადო რეაგირებას ახდენს ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო ორგანოებიდან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შემოსულ რეკომენდაციებზე, განცხადება-საჩივრებსა და სხვა მასალებზე.⁶⁵ პროკურატურაში შესული განცხადება-საჩივრების და მასალების შესწავლის საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო შეიმუშავებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გამოვლენილი დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის წინადადებას და წარუდგენს მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობას.⁶⁶ ამ სამმართველოს ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ თავად არ აწარმოებს საპროცესო ხელმძღვანელობას სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე და, ცალკეულ შემთხვევაში, არ იძიებს აღნიშნულ დანაშაულს.

65 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 4 სექტემბრის #87 ბრძანების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

66 იქვე. ქვეპუნქტი „ე“.

შეიძლება ითქვას, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან უფრო ნაკლები შეხება გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის მთავარ სამმართველოს. ამ უკანასკნელის კომპეტენცია ამოინურება დროებითი მოთავსების იზოლაციონებში პირთა განთავსებაზე,⁶⁷ ადამიანის უფლებათა დაცვის დაწესებულებებთან თანამშრომლობის წარმართვით⁶⁸

სხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიციასთან/ პროკურატურასთან შექმნილი სპეციალური განყოფილების ეფექტიანობას რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განაპირობებს: კერძოდ, ამგვარი განყოფილებები მჭიდროდ თანამშრომლობენ ლგბტი ჯგუფის წევრებთან და ორგანიზაციებთან ეხმარება ლგბტი ჯგუფის წევრებს გადალახონ შიში და უნდობლობა სამართალდამცავთა მიმართ და განაცხადონ დანაშაულის შესახებ; აადვილებს ასეთი ტიპის დანაშაულის აღრიცხვას და შესაძლებელს ხდის შესწავლილი და გაანალიზებული იქნას ინფორმაცია ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბუნებისა და პრევალირების შესახებ პრევენციული ღონისძიებების დაწესების მიზნით; ხელს უწყობს ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გამოძიების პროცესის ეფექტიანობას და სხვ.

67 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 1 მარტის #141-ე ბრძანების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

68 იქვე. ქვეპუნქტი „გ“.

გობადი ხასიათის რეკომენდაციები

• საქართველოს მთავრობას

ა) გადაიხედოს ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გაანალიზდეს არსებული რეალობა და განვითარებული მოვლენების საფუძველზე შემუშავდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ბ) სახელმწიფომ უზრუნველყოს მასშტაბური კამპანიის დაწყება ლგბტი ადამიანების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების და სენსიტიურობის ამაღლების კუთხით.

• შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას

ა) შეიქმნას სპეციალიზირებული განყოფილება რომელიც უზრუნველყოფს სოგი-ს საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღიკვეთასა და ეფექტიან გამოძიებას.

ბ) აწარმოოს ეფექტიანი და წარმატებული სისხლის სამართლებრივი დევნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებზე.

გ) განისაზღვროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ყოველწლიური სტატისტიკის წარმოებისთვის.

დ) შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო პოლიციელთათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ, რომელიც გაადვილებს ამგვარი დანაშაულის იდენტიფიცირებას.

ე) გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

ვ) ითანამშრომლოს ლგბტი პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და თემის წარმომადგენლებთან გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სამუშაო ჯგუფების ფორმატში.

ზ) განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა მიმართ ლგბტი პირების ნდობის და მიმართვიანობის გაზრდაზე.

თ) სათანადო რეაგირება მოახდინოს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დარღვევებზე, რომელიც უკავშირდება ლგბტი პირების მიმართ ხელი-სუფლების წარმომადგენლების ჰომოფობიური დამოკიდებულებას.

• შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას

ა) ლგბტი პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადაიხედოს არსებული პროგრამები და შეიქმნას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სპეციფიკის შესახებ სასწავლო მოდული.

ბ) მოამზადოს საინფორმაციო ბროშურები ყველა პოლიციელისთვის, რათა მიეწოდოთ სათანადო ინფორმაცია, და თავიდან იქნეს აცილებული მათი მხრიდან ჰომოფობიური ქცევა ლგბტი პირთა მიმართ.

• იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავოს კონკრეტული მეთოდოლოგია, რათა შეამოწმოს მოსამართლეობის კანდიდატის შესაძლო ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტი ადამიანების მიმართ.

• იუსტიციის უმაღლეს სკოლას

დანერგოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საქმის განხილვის სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ სასწავლო მოდული იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეებისთვის.

დანართები

დანართი №1

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების FBI-ს სახელმძღვანელოს მიხედვით, სიძულვილის მოტივი დგინდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

- 1) დამნაშავე და მსხვერპლი არიან სხვადასხვა რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის და გენდერული იდენტობის მატარებელი პირები, მაგალითად, მსხვერპლი არის აფროამერიკელი, ხოლო დამნაშავე თეთრკანიანი;
- 2) დამნაშავის მხრიდან ადგილი ჰქონდა მსხვერპლის მიმართ სიძულვილის შემცველ ზეპირ გამონათქვამს, წერილობით მიმართვას ან უესტიკულაციას. მაგალითად, დამნაშავე მსხვერპლს მიმართავდა რასისტული ეპითეტით.
- 3) სიძულვილის გამოხატველი ნახატი, ნიშანი, სიმბოლო, გრაფიტი იქნა დატოვებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე. მაგალითად, დამნაშავემ სვასტიკა დახატა სინაგოგაზე, მეჩეთზე და ლგბტ პირთა ცენტრში.
- 4) დანაშაულის ჩადენის ადგილზე დატოვებული იქნა სპეციფიკური საგანი, რაც მიუთითებს სიძულვილის მოტივზე, მაგალითად, დამნაშავეს ეხურა თეთრი ქუდი და დანვა ჯვარი (იყო კუ-კლუქს კლანის წევრი).
- 5) მსხვერპლი არის ისეთი სპეციფიკური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც ემიჯნება იმ დასახლების მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სადაც მსხვერპლი ცხოვრობდა და დანაშაული მოხდა;
- 6) მსხვერპლი იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც ადრე მოხდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მსხვერპლის რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის გამო და სადაც მსხვერპლის ჯგუფის მიმართ მტრობის ხარისხი ძალიან მაღალია.
- 7) ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას მოხდა რამდენიმე დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო ერთი და იმავე რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის და გენდერული იდენტობის მქონე პირის მიმართ.
- 8) იმ დასახლების მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ, სადაც ინციდენტი მოხდა, დანაშაული აღქმული იქნა სიძულვილის მოტივით ჩადენილად;

- 9) მსხვერპლი ეწეოდა ისეთ საქმიანობას, რაც დაკავშირებული იყო საკუთარი რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის გაძლიერებასთან. მაგალითად, მსხვერპლი იყო ფერადკანიანი ადამიანების მხარდაჭერის ეროვნული ასოციაციის წევრი ან მონაწილეობდა ლგბტ ალუმის აღნიშვნაში.
- 10) ინციდენტი მოხდა შესაბამისი რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის დღესასწაულზე ან მათთვის ღირშესანიშნავ დღეს, მაგალითად მარტინ ლუთერ კინგის დღე, ტრანსგენდერების ხსოვნის დღე;
- 11) დანაშაულის ჩამდენი პირი ადრე მონაწილეობდა მსგავსი დანაშაულის ჩადენაში ან არის რასისტული, ქსენოფობიური ან ჰომოფობიური ჯგუფის წევრი;
- 12) რადიკალური ჯგუფის მონაწილეობაზე მინიშნება. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რადიკალურმა დაჯგუფებამ პასუხისმგებლობა აიღო დანაშაულზე ან ეს დაჯგუფება დანაშაულის ჩადენის ადგილას აქტიურია.
- 13) არსებობს ისტორიული დაპირისპირება დამნაშავისა და დაზარალებულის ჯგუფებს შორის.
- 14) დაზარალებული თავად არ არის მიზანში ამოღებული რასობრივი, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური, სქესის, გენდერული იდენტობის ჯგუფის წევრი, მაგრამ მსხვერპლი საჯაროდ მხარს უჭერდა მოწყვლად ჯგუფს.

ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით FBI-ს ინსტრუქციებში ვხვდებით გაფრთხილებას: იმისათვის რომ თავიდან იქნას იქნეს აცილებული გამომძიებლის მიერ მოტივთან დაკავშირებით შეცდომის დაშვება, გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

- 1) სახეზეა შეცდომაში შემყვანი ფაქტი** - მაგალითად, დამნაშავემ მსხვერპლის მიმართ გამოიყენა რასისტული ეპითეტი, მაგრამ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ადგილი არა აქვს, ვინაიდან მსხვერპლიც და დამნაშავეც ერთი და იმავე რასის წარმომადგენელია.
- 2) დამნაშავემ მოახდინა სიძულვილის დანაშაულის ინსცენირება** - კათოლიკური სკოლის კათოლიკე მოსწავლემ დააზიანა საკუთარი სკოლის შენობა. სკოლაში დატოვა ანტიკათოლიკური წარწერები, იმისათვის რომ გაკვეთილი გაცდენილიყო.

- 3) დამნაშავემ მსხვერპლი შეცდომით მიაკუთვნა მიზანში ამოღებულ ჯგუფს** - თუნდაც დამნაშავე ცდებოდა მსხვერპლის რასის, რელიგიური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის ნიშანში, სახეზე მაინც გვექნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ვინაიდან დანაშაული არ მოხდებოდა დამნაშავეს მტრული დამოკიდებულება რომ არ ჰქონოდა კონკრეტული ჯგუფის მიმართ. მაგალითად, საშუალო ასაკის ჰეტროსექსუალი მამაკაცი მოძრაობდა იმ ბართან, სადაც ხშირად გვი მამაკაცები იკრიბებიან. ამ დროს აღნიშნულ ჰეტეროსექსუალ მამაკაცს თავს დაესხა ნ ახალგაზრდა, რომელსაც მსხვერპლი ბარიდან გამოსულ ჰომოსექსუალში აერია. მოცემულ შემთხვევაში ახალგაზრდებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სექსუალური ორიენტაციის სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის.
- 4) მოტივის ცვლილება ახალი მტკიცებულების აღმოჩენის გამო** - შესაძლოა თავდაპირველად დანაშაული არ იყოს სიძულვილის მოტივით ჩადენილი, მაგრამ ეს გარემოება გამოიძიების შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთოს. ასევე შესაძლოა თავდაპირველად არსებობდეს მტკიცებულება, რომ დანაშაული რასობრივი სიძულვილის მოტივით მოხდა, თუმცა მოგვიანებით შესაძლოა დადგინდეს რელიგიური სიძულვილის მოტივი. ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების შედეგად უნდა ხდებოდეს მონაცემების განახლება. FBI თავის ბაზაში არ ასახავს სასამართლოს მიერ დადგენილ მოტივს.⁶⁹

69 Hate Crime Data Collection Guidelines And Training Manual. Prepared by: Law Enforcement Support Section (LESS) Crime Statistics Management Unit (CSMU). 2015.

დანართი №2

შსს-ს აკადემიის ცნობით, 2014-2016 წლების განმავლობაში სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა სტატისტიკა შემდეგნაირია:

დასახელება	მსმენელთა რაოდენობა
უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა	543
პატრულ ინსპექტორთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა	282
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა	185
დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	411
შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დანიშნულების სპეციალური გადამზადების კურსი	240
მსმენელთა საერთო რაოდენობა	1661

დანართი №3

“საქართველოს სახალხო დამცველის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლგბტი ადამიანების უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 15 მარტამდე პერიოდში ომბუდსმენთან მიმართვიანობა შემდეგნაირია:

დეპარტამენტის დასახელება	პერიოდი	ლგბტი პირების უფლებების დარღვევის შესახებ საჩივარი/ შემთხვევა
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	2015-2016 წწ.	21
თანასწორობის დეპარტამენტი	2015-2016 წწ.	14

სასამართლოს დასახელება	პასუხი
საქართველოს უზენაესი სასამართლო (# 8696)	სასამართლებებისგან მიღებული პასუხები ერთგვაროვანია, მითითებულია, რომ 27/03/2012 - 15/03/2016 პერიოდში, სასამართლოებში საქმე არ განხილულა, შესაბამისად, სასამართლოებს არ გამოუტანიათ განაჩენი სსკ-ის 53-ე მუხლის 3 ¹ ნაწილის და 142-ე მუხლების საფუძველზე.
თბილისის სააპელაციო სასამართლო (# 4420)	
თბილისის საქალაქო სასამართლო (# 5249)	
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო (# 3628)	
ქუთაისის საქალაქო სასამართლო (#1934)	
ბათუმის საქალაქო სასამართლო (# 857)	
ამბროლაურის რაიონული სასამართლო (# 2385)	
ახალქალაქის რაიონული სასამართლო (# 5838)	
ახალციხის რაიონული სასამართლო (# 4937)	
ბოლნისის რაიონული სასამართლო (# 2460)	
გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო (# 4662)	
გორის რაიონული სასამართლო (#2315)	
გურჯაანის რაიონული სასამართლო (# 1960)	
ზეესტაფონის რაიონული სასამართლო (# 511)	
ზუგდიდის რაიონული სასამართლო (# 3136)	
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო (# 287)	
თელავის რაიონული სასამართლო (# 5925)	
ოზურგეთის რაიონული სასამართლო (# 4289)	
რუსთავის საქალაქო სასამართლო (# 5491)	
სამტრედიის რაიონული სასამართლო (# 2090)	
საჩხერის რაიონული სასამართლო (# 5736)	
სენაკის რაიონული სასამართლო (# 8982)	
სიღნაღის რაიონული სასამართლო (# 2696)	
ფოთის საქალაქო სასამართლო (# 2061)	
ცაგერის რაიონული სასამართლო (# 1721)	
ხაშურის რაიონული სასამართლო (# 5442)	
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო (# 6363)	
მცხეთის რაიონული სასამართლო (# 5138)	პასუხი არ არის

ტერმინოლოგია

ბისექსუალობა - სექსუალური ორიენტაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აღწერს ინდივიდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიულ, ემოციურ და/ან სექსუალურ მიზიდულობას როგორც საკუთარი, ისე სხვა სქესის ადამიანის მიმართ.

ბიფობია - ნეგატიური დამოკიდებულება ბისექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ. ჰომოფობიის მსგავსად, შესაძლოა გამოხატული იყოს ზიზღის, სიძულვილის, აგრესიული ქცევის, დისკრიმინაციის სახით.

გეი - მამაკაცი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერი - სოციალურად კონსტრუირებული (აგებული) კონცეფცია, ან გარკვეული ქცევების, ნიშნებისა და როლების სოციალური კლასიფიკაცია „ფემინურ“ და „მასკულინურ“ ჯგუფებად. სხვადასხვა კულტურებში ფემინურობასა და მასკულინურობასთან ასოცირებული ქცევების სპეციფიკა განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა კულტურაში არსებობს გარკვეული აკრძალვები და წესები, რომელიც არეგულირებს და განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის ქცევებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია - პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებთან“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება გამოვლიდნეს იმისგან დამოუკიდებლად ახდენს თუ არა ადამიანი საკუთარ დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია - დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ დისტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის არსებული განსხვავების გამო.

გენდერული (თვით)გამოხატვა - გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებაში, და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალურ ორიენტაციის ან გენდერულ იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული იდენტობა - ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს (მასკულინური ან ფემინური სოციალური კონსტრუქტს). პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგ შემთხვევაში კი, მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს, ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქედან გამომდინარე რომ გენდერული იდენტობა შინაგანი, ინტერნალური მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

ინტერსექსი - ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს - მდედრი და მამრი. ინტერსექსუალობა არ თავსდება მხოლოდ მდედრის ან მხოლოდ მამრის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონალურ, ასევე გენეტიკურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება დაბადებისთანავე შესამჩნევი იყოს ან მოგვიანებით განვითარდეს.

ლესბოსელი - ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტი - აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის აღსაწერად, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული - დანაშაული, რომელიც ჩადენილია იმის გამო, რომ მსხვერპლი, სინამდვილეში ან სავარაუდოდ, მიეკუთვნება რამე ჯგუფს, უმეტესად, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის, მოქალაქეობის, წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა ნიშნით (OSCE report: Hate Crime Laws, a Practical Guide).

სქესი – ბიოლოგიური მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრის და მამრის ორგანიზმს.

სექსუალური ორიენტაცია - ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სექსუალური მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ჰომოსექსუალურ, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

ტრანსგენდერი - ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი მოიცავს ასევე ტრანსექსუალებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროს-დრესერებს, და გენდერულად არა-კონფორმულ ადამიანებს.

ტრანსგენდერი მამაკაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს საკუთარი თავის, როგორც მამაკაცის იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ მამაკაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითინდეტიფიკაციას ახდენს როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას.

ტრანსფობია - ნეგატიური დამოკიდებულება ტრანს ადამიანების მიმართ. ჰომოფობიის მსგავსად, შესაძლოა გამოხატული იყოს ზიზღის, სიძულვილის, აგრესიული ქცევის, დისკრიმინაციის სახით.

ქალი, რომელსაც სექსი აქვს ქალთან (WSW) ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ ქალის ქცევის აღსაწერად, რომელსაც სექსი აქვს ქალთან განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

